

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
N124 2004 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი**

**საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი  
ნორმების შესახებ**

საქართველოში გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყანაში ევროპული ნორმების დანერგვის პროცესში აუცილებელია ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვისაგან ატმოსფეროს დაცვისა და საწვავის ხარისხის საკითხების რეგულირება. (30.12.2009 N 259)

ბენზინის ხარისხის ეკოლოგიური მახასიათებლები (ტყვიის, ბენზოლის, არომატული ნახშირწყალბადებისა და გოგირდის შემცველობა) არ შეესაბამება ევროპულ ნორმებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები. აღნიშნულ სფეროში ტექნიკური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ბენზინის ხარისხის ევროპულ გარემოსდაცვით ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე: (30.12.2009 N 259)

1. დადგინდეს კვლევითი მეთოდით განსაზღვრული ოქტანური რიცხვის მიხედვით ბენზინის შემდეგი მარკები: (14.12.2005 N 224)

- ა) 2007 წლის 1 იანვრამდე  
ნორმალი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 80;  
რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;  
პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;  
სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98.

- ბ) 2007 წლის 1 იანვრიდან  
რეგულარი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 91;  
პრემიუმი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95;  
სუპერი – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 98.”.

2. დადგინდეს საავტომობილო ბენზინის ეკოლოგიური მახასიათებლები: (30.12.2009 N 259)

ა) 2010 წლის 1 იანვრამდე:

- ა.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.013 გ/ლ;  
ა.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 5%;  
ა.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 45%;  
ა.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 500 მგ/კგ;

ბ) 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე: (30.12.2010 N 421)

- ბ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.013 გ/ლ;

ბ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 5%;

ბ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 45%;

ბ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 500 მგ/კგ;

**გ) 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე:** (1/12/2011 N 444 ამოქმედდეს 2011 წლის 31 დეკემბრიდან)

გ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

გ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

გ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

გ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 250 მგ/კგ;

**დ) 2014 წლის 1 იანვრიდან- 2015 წლის 1 იანვრამდე:** (26.12.2014 N 731 ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.)

დ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

დ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

დ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

დ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 150 მგ/კგ;

**ე) 2015 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 1 იანვრამდე:** (26.12.2014 N 731 ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.)

ე.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ე.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

ე.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

ე.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 50 მგ/კგ;

**ვ) 2017 წლის 1 იანვრიდან:** (26.12.2014 N 731 ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.)

ვ.ა) ტყვიის შემცველობა – არა უმეტეს 0.005 გ/ლ;

ვ.ბ) ბენზოლის მოცულობითი წილი – არა უმეტეს 3 %;

ვ.გ) არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი – არა უმეტეს 42%;

ვ.დ) გოგირდის შემცველობა – არა უმეტეს 10 მგ/კგ.

3. ბენზინის ხარისხის ანალიზის მეთოდები 2009 წლის 1 იანვრამდე გამოყენებულ იქნეს ამჟამად მოქმედი სტანდარტების მიხედვით, 2009 წლის 1 იანვრიდან – საერთაშორისო სტანდარტებისა (ისო) და ევროპული ნორმების (ენ) საფუძველზე მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. (17.12.2007 N282)

პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ჟვანია